



საქართველო  
პარლამენტი  
ეროვნული  
ბიბლიოთეკა



№ 193  
(12 263)

17 აგვისტო პარასკევი 2007  
ბამონის 1934 წლიდან

ფასი  
50 თეთრი.

# მუვიდობით!

## რვენთვის ეპროვა აქ დასრულდა



### დინამო 0:3 რაპიდი



# გადაწყვეტილია!

## საქართველო vs ბრაზილია

ორი მატჩი თბილისში 3

### იქნებ, ახლა მაინც გვეზველოს...



## ფინანსური რეკონსტრუქცია ქართულ ფეხბურთში

არის მემორანდუმი! 4

დუშან  
უკრინი:  
რვენს  
შორის  
სხვაობა  
დილია






















## კალათბურთი



ინტერვიუ კოკა ტომარაძესთან

# პარიზი, თბილისი, ბარსელონა...

NBA-ს მიერ ორგანიზებული ევროპული კემპიდან ნიკა მეტრეველი იტალიაში გაემგზავრა, სადაც ახალ კლუბ "მონტეპასკის" შეუერთდა, კოკა ტომარაძემ კი ჯერ საქართველოს მოაშურა და უახლოეს დღეებში გაარკვევს, როდის წავა "ბარსელონაში".

კოკასთან ინტერვიუ საკლუბო ამბებით დავიწყეთ.

- "ბარსელონაში", რომლის ახალგაზრდულ გუნდში ორი სეზონი გავატარე, 4-წლიანი კონტრაქტი შემომთავაზა. კლუბის ხელმძღვანელობამ მითხრა - ვიცით, 4 წელი დიდი დროა და აგვისტოს ბოლომდე მოიფიქრე. 20 აგვისტომდე თუ გადავწყვეტთ, უახლოეს დღეებში ესპანეთში გავფრინდები.

- NBA-ს მიერ ორგანიზებულ პარიზულ კემპს როგორ გაიხსენებ?

- ვერაფერს დაიწუნებდი. საფრანგეთიდან შთაბეჭდილებებით დატვირთული ჩამოვედი. კემპი მაღალ დონეზე იყო ორგანიზებული. ყოველდღიურად ვარჯიშის პარალელურად ლექციებს გვიკითხავდნენ, გვესაუბრებოდნენ ცხოვრებისეულ საკითხებზეც და ფსიქოლოგიურადაც გვამზადებდნენ.

- განსაკუთრებით, რა დაგამახსოვრდა?

- საინტერესო ლექცია წავიკითხეს მატჩისწინა განწყობის შესახებ. დეტალურად აგვიხსენეს, როგორ უნდა მოვემზადოთ ფსიქოლოგიურად, რათა მატჩი მაღალ დონეზე ჩავატაროთ.

- NBA-ს ვარსკვლავებთან როგორი დამოკიდებულება გქონდა?

- ურთიერთობაში კარგი ბიჭები იყვნენ. ისინიც ხშირად ვიმიჯორებდნენ, ფულს რომ იშოვით, ისევე უბრალო და მშრომელ მოთამაშეებად უნდა დარჩეთ, როგორც მანამდე იყავით.

- კემპზე გადაღებულ ერთ-ერთ ფოტოზე სიგანეში გზომავენ.

- საკალათბურთო სამყაროში ეს მიღებული წესია. ხელგაშლილი სიგანეში "ბარსელონაშიც" გავუზომივართ. კემპის ორგანიზატორებს ჩვენი ყველა მონაცემი აინტერესებდათ, სხვასთან ერთად ნახტომის სიმაღლეც შეგვიმოწმეს.

- NBA-ს კალათბურთელებს ახალგაზრდები კომპიუტერზე ვირტუალურად ეთამაშეთ...

- ამ ღონისძიებაში მონაწილეობა არ მიმიღია. ჩემზე ძლიერი მოთამაშეები იყვნენ...

- კემპის ჩემპიონატზე რომელ გუნდში მოხვდი?

- დრაფტზე "სან ანტონიოს" მწვრთნელმა ამირჩია და "საუზის" შემადგენლობაში სამი მატჩი ვითამაშე. ჩვენს გუნდს "სან ანტონიოს" მეორე მწვრთნელი ხელმძღვანელობდა. მასთან მუშაობა საინტერესო იყო და სასარგებლოც.

- რა შედეგი უჩვენეთ?

- ერთი მატჩი ჩვენს სასარგებლოდ დავასრულეთ, ორი - წავაგეთ.

- ნიკა მეტრეველის გუნდმა როგორ ითამაშა?

- ორ შეხვედრაში იმარჯვა. მეტრეველი გუნდის ლიდერი იყო და დამსახურებულად მიიღო MVP-ს ჯილდო.

ვაჟა სიმონიშვილი

## ხანტაი

# ორი მსაჯი და სამი პროექტი

ხალხურთის ქართველ ქომავლს ემბსოვრება, რომ წლეულს ევროპის, ნორვეგიისა და საქართველოს ხელბურთის ფედერაციების ორგანიზებით ნორვეგიაში სტაჟირებაზე ჯერ მწვრთნელები გაემგზავრნენ, შემდეგ ჭაბუკი ხელბურთელები.

ორივე დღის წინათ ოსლოდან ქართველი მსაჯები ჩამოვიდნენ. ინა ჭკუასელმა და ნინო ელოშვილმა სამი დღის განმავლობაში ნორვეგიის ჩემპიონატის სხვადასხვა ასაკის 6 მატჩი უშაჯეს. ჩრდილოელები 18, 19 და 20-წლამდელოთა ჩემპიონატებს ერთ დარბაზში სამ დღეში ატარებენ, რასაც არბიტრების 16 წყვილი სჭირდება.

ახალგაზრდა ქართულ დეუტს ჯერ ერთი მატჩის განსჯა შესთავაზეს, ხოლო როცა მათ კომპეტენტურობაში დარწმუნდნენ, დღეში ორ-ორი შეხვედრა ანდეს.

ნორვეგიიდან ინა ჭკუასელი და ნინო ელოშვილი კმაყოფილები დაბრუნდნენ. მათი თქმით, ევროპის ერთ-ერთ წამყვან სახელბურთო ქვეყანაში მუშაობამ დიდი გამოცდილება მოიტანა, რაც სამომავლოდ აუცილებლად წაადგებათ. ეს წყვილი საქართველოს მომავალ ჩემპიონატსაც განსჯის.

ევროპისა და ნორვეგიის ხელბურთის ფედერაციებთან ერთად განხორციელებულ პროექტზე საქართველოს ხელბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი ზურაბ კაკაბაძეც დადებითად საუბრობს: "წლეულს ნორვეგიელებისა და ევროპის ხელბურთის ფედერაციის ხელშეწყობით მესამე პროექტი წარმატებით განვახორციელეთ. მათ შედეგებს საბოლოოდ შემოადგომაზე შევაჯამებთ და 2008 წლის გეგმებ-

საც დავსახავთ. ნორვეგიის ფედერაცია კვლავაც მზადაა ჩვენთან სათანამშრომლოდ".


წლეულს კიდევ ერთი პროექტი უნდა შესრულებულიყო - ნორვეგიაში ვაჟთა გუნდი გამგზავრებულიყო, მაგრამ საქართველოს ხელბურთის ფედ-

რაციამ გადანყვიტა, რომ 18-წლამდელო ჭაბუკების სკანდინავიაში გაგზავნა მომავალი წლის აპრილში აჯობებს, რადგან მათში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები უწევთ და ნორვეგიაში კარგი შეერება გამოუვათ.

ვაჟა სიმონიშვილი



ინა ჭკუასელი და ნინო ელოშვილი



## კალათბურთი

### ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი B ღივიზიონი

# 25 აგვისტო


## საქართველო vs ავსტრია

### დასასრულებელი: 19.00


# 2 სექტემბერი

## საქართველო vs ფინეთი





### დასასრულებელი: 19.00



სახალხო ბანკი  
PEOPLE'S BANK



სახალხო პარაზი

## ვულოცავთ

საქართველოს ნაკრების ფორვარდს, ვლადიმერ ბოსასს შეეძინა ვაჟი, რომელიც დაბადებიდანვე სპორტული მონაცემებით გამოირჩევა - 3 კილოგრამს იწონის და 55 სმ სიმაღლისაა. გაზეთი "ლელო" ვოვას ვაჟის შექმნას ულოცავს და უსურვებს, შვილს მამისთვის ევროპოს...



